საქართველოს პარლამენტის ბიუროს

გამომდინარე იქიდან, რომ არის საარჩევნო წელიწადი, სასურველია წინადადების დაჩქარებული წესით განხილვა

საკანონმდებლო წინადადება
(წარმოდგენილია საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 105-ე მუხლის გათვალისწინებით)

ცვლილების სახეობა:

- საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ
- საქართველოს საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ

განსახილველი საკითხი:

არჩევნებში დამოუკიდებელი კანდიდატის მონაწილეობის შესაძლებლობა. კანონის პროექტის მიღების დასაბუთება: საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 10 წელს მაინც. პარლამენტის წევრად არ შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც სასამართლოს განაჩენით შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა. "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლი, საქართველოში მოქმედი ნორმატიული აქტებისათვის იურიდიული ძალის მიხედვით დადგენილ იერარქიაში, პირველ ადგილზე სწორედ კონსტიტუციასა და კონსტიტუციურ კანონს მოიხსენიებს. ხოლო ამავე კანონის მომდევნო მე-20 მუხლი იმეორებს კონსტიტუციის უზენაესობის შესახებ ზემოთ მოტანილ კონსტიტუციურ დებულებას და პირველ პუნქტში აცხადებს, რომ "საქართველოს კონსტიტუცია საქართველოს უზენაესი კანონია. მას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა სხვა სამართლებრივი აქტების მიმართ. ყველა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას". ამასთან, საქართველოს საარჩევნო კოდექსის მეორე მუხლით პასიური საარჩევნო უფლება განმარტებულია, როგორც საქართველოს მოქალაქის უფლება, კენჭი იყაროს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში ასარჩევად და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის დასაკავებლად. თუმცა, მიუხედავად ამისა, საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული საპარლამენტო არჩევნებში იმ პირის მონაწილეობა, რომელიც არ განეკუთვნება არც ერთი პარტიის წევრს. მაგალითისათვის, თუ 2018 წელს ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა არჩევნებში მონაწილეობა მიიღო, როგორც დამოუკიდებელ კანდიდატად, რატომ არ შეიძლება იგივე განხორციელდეს ოღონდ ამჯერად სხვა სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის სტატუსის მოპოვების მიზნით (მაგალითად - ჯერ პარლამენტის წევრად, ხოლო შემდგომ უფლებამოსილ თანამდებობაზე არჩევით). ვფიქრობ, რომ საქართველოს მოსახლეობაში/ საზოგადოებაში მოიძებნება არაერთი ღვაწლმოსილი და გამოჩენილი პირებიც, რომელთაც არ სურთ პარტიული დღის წესრიგის ნაწილნი გახდნენ, თუმცა, პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი. ასეთ გამოჩენილ პირებს, შესაძლოა უფრო მეტი მხარდაჭერის მობილიზება შეძლონ, ვიდრე სატელევიზო ეთერიდან ცნობადმა პარტიების წარმომადგენლებმა, დაძლიონ თუგინდ საარჩევნო ბარიერიც (თუგინდ ამ მომენტისათვის განსაზღვრული 5% ბარიერი. მიიღონ დაახლოებით 100 ათასი ხმა. პრობლემას ალბათ არც ის უნდა წარმოადგენდეს ის, რომ მანდატები სხვა სუბიექტიებზე გადანაწილდეს[1]) კი, სასურველი შედეგის მიუღწევლობის შემთხვევაში, მათაც ასევე უნდა ისარგებლონ სახელმწიფო ბიუჯეტიდან

[1] საპროცენტო ბარიერის დაწევის შემთხვევაში (სასურველია 2%, თანაფარდობით რომელივ შეიძლება 3 მანდანტს უტოლდებოდეს), აღნიშნული სახის გამოწვევები ალბათ ნაკლებად იქნებოდა.

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-3213/24
15 03 2024 ფურცელი 2

ფინანსური დახმარებით, იმავე პრინციპით და პირობით, როგორც ეს პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს კანონის 30-ე მუხლით არის გათვალისწინებული. არჩევნების პროცესში სახელმწიფოს აქვს ვალდებულება თანასწორობის უზრუნველმყოფელი პირობების შემოღებისა. ამ პროცესში მისი ძირითადი ფუნქციაა, არ მოახდინოს ვინმეს შეზღუდვა ან პრივილეგირება გონივრული დასაბუთების გარეშე. ასეთი გონივრული დასაბუთების შესახებ, რომლითაც შეიზღუდება საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატად ყოფნის უფლება არაფერი მსმენია. უფრო მეტიც, წინა საარჩევნო პერიოდისას, კოდექსი მაჟორიტარ კანდიდატებს, მიუხედავად იმისა, თუ ვის მიერ იყვნენ ისინი წარდგენილნი, მოიაზრებდა, როგორც ერთი სამართლებრივი ურთიერთობის თანასწორ მონაწილეებს, განიხილავდა მათ არსებითად თანასწორ პირებად და ლოგიკურია ალბათ კითხვა თუ რატომ არ შეიძლება განხორციელდეს იგივე პროპორციული წესით სუბიექტთა არჩევის შემთხვევაშიც? აქვე, რამდენადაც მახსოვს 2012-2013 წელს საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილება, რომელიც შეეხებოდა არჩევნებში დამოუკიდებელი კანდიდატის მონაწილეობის საკითხს, მოწონებულ იქნა ვენეციის კომისიის მიერ (თუ არ ვცდები მათი რეკომენდაციით განხორციელდა ხსენებული ცვლილება). იმისათვის, რომ არ დაირღვეს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული უფლებანი, მიზანშეწონილია **საქართველოს საარჩევნო კოდექსში** (საჭიროებისამებრ საქართველოს კონსტიტუციაში თუ სხვა საკანონმდებლო აქტებშიც) მიზანშეწონილია შევიდეს ცვლილება, რომლის შესაბამისად:

- მკაფიოდ განისაზღვრება საქართველოს მოქალაქის ზემოხსენებული პასიური საარჩევნო უფლება, კერძოდ, საქართველოს პარლამენტის არჩევნებში, საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი კანდიდატის მიერ დამოუკიდებელი კანდიდატის სტატუსით მონაწილეობის მიღების უფლება;
- საინიციატივო ჯგუფის წევრთა და საარჩევნო ადმინისტრაციაში წარსადგენი ხელმოწერების რაოდენობა უნდა განისაზღვროს იმდენივე პირით, რაც ეს თვითმართველობის არჩევნების შემთხვევაში არის დადგენილი
- დამოუკიდებელი კანდიდატის ფინანსური მხარდაჭერისათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოიყოს იმდენივე თანხა და იმავე პიროებით, რაც ეს პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს კანონით არის განსაზღვრული.

საკანონმდებლო წინადადების ავტორი/ ინიციატორი
ნიკოლოზ ნიკოლაძე პ/ნ [redacted] მობ.: [redacted] ელ. ფოსტა: [redacted] რეგისტრაციის ადგილი: [redacted]

25/02/2024